ვხედავ, რომ თქვენი სიზმარი ემთხვევა ბოლო შვიდ ღამეს, მაშ, ვინც მას ეძებს - მოძებნოს ის ბოლო შვიდ ღამეში

გადმოცემულია იბნ უმარისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი): შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მიმდევართაგან ზოგიერთ საჰაბას ესიზმრა სიზმარი, რომ ყადირის ღამე რამადანის თვის ბოლო შვიდ დღეში იყო, და თქვა შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): «ვხედავ, რომ თქვენი სიზმარი ემთხვევა ბოლო შვიდ ღამეს, მაშ, ვინც მას ეძებს - მოძებნოს ის ბოლო შვიდ ღამეში».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მიმდევართაგან ზოგიერთებმა ნახეს სიზმარი, რომ ყადირის ღამე რამადანის თვის ბოლო შვიდ ღამეში იყო. და შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: ვხედავ, რომ თქვენი სიზმრები ერთმანეთს ემთხვევა, რომ ის რამადანის ბოლო შვიდ ღამეშია, ვისაც სურს მისი პოვნა, და ეძებს მას, მაშინ გაისარჯოს და ეძებოს ის ბევრი კარგი საქმის კეთებით, და ყველაზე მიტი ალბათობით ის ბოლო შვიდ ღამეში იქნება. ეს იწყება ოცდამეოთხე ღამიდან თუ რამადანის თვე ოცდაათი დღით იქნება, ხოლო თუ რამადანი ოცდაცხრა დღით იქნება მაშინ მისი ათვლა ოცდამესამე ღამიდან იწყება.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/4545